საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრონომია (აგროტექნოლოგია, აგროეკოლოგია)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	აგრონომია (აგროტექნოლოგია, აგროეკოლოგია) საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (160 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პროგრამის მიზანია** შეასწავლოს სტუდენტებს: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები და რაციონალური გამოყენების ხერხები, აგროეკოსისტემების ცოცხალი ორგანიზმების, ბუნებრივი პოპულაციების, ბიოცენოზების, აგროლანდშაფტების ბიოლოგია, ეკოლოგია; მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდები; ბუნებრივი რესურსების, ნიადაგების ნაყოფიერების ზრდისა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის გზები და მეთოდები, ეროზიის პრობლემები; გარემოს დაბინძურების მიზეზები და მისი აღმკვეთი ღონისძიებები; აგროეკოსისტემების მდგრადობა და მის ფუნქციონირება ტექნოგენეზის პირობებში;
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	აქვს ფართო ცოდნა ტრადიციული, ალტერნატული და ბიოლოგიური მიწათმოქმედებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში. იცის მცენარის აგებულება, მასში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებები, გარემო პირობებისა და მცენარის შინაგანი პროცესების ურთიერთობები და სელექცია-ჯიშთმცოდნეობის საკითხები; სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის გამოყვანა გამრავლება ტრადიციული და პროგრესული მეთოდებით; ფლობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებს; იცნობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებსა და დაავადებებს; იცის მცენარეთა დაცვის ხერხები და მეთოდები, გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები; აგროეკოსისტემების ცოცხალი ორგანიზმების და აგროპოპულაციების ეკოლოგია, აქვს ფართო ცოდნა ცოცხალი ბუნების მრავალფეროვნების შესახებ; იცის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, შენარჩუნების და კვლავწარმოების საკითხები; ფლობს გარემოში მიმდინარე პროცესების და მოსალოდნელი ცვლილებების აღრიცხვის მეთოდებს; ეკოლოგიური მონიტორინგის და ექსპერტიზის მეთოდებს; შეუძლია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება; სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიების თეორიული ცოდნის გამოყენება მაღალი მოსავლის მიღების მიზნით. შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების დასახვა და გატარება; ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, სასოფლო - სამეურნეო კულტურებისათვის მინერალური და ორგანული სასუქების შერჩევა; მოცემული აგროკლიმატური ზონის მეტეოროლოგიური და კლიმატური

	პირობების განსაზღვრა და გათვალისწინება სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებისა და მოსავლის პროგნოზირების მეთოდების დამუშავების დროს; გარემოზე ამა თუ იმ ფაქტორის, მათ შორის ეროზიის გამომწვევის, მოქმედების განსაზღვრა და უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების გზებისა და ხერხების დასახვა. შეუძლია აგრარული დარგის ამა თუ იმ საკითხზე ინფორმაციების მოპოვება, ანალიზი და პრობლემის გადაწყვეტისათვის შერჩეული მიდგომის და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; წერილობითი ანგარიშის მომზადება, ინფორმაციის გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენაზე, ზეპირად ან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. აცნობირებს დარგის მნიშვლობას ქვეყნის აგრარული პოლიტიკის განხორციელების საქმეში და მონაწილეობს მის დამკვიდრებაში.
შეფასების წესი	**სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:** ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირები	**რეზო ჯაბნიძე - სრული პროფესორი მობ.** (+99555) 126458 **შოთა ლამპარაძე- ასოცირებული პროფესორი მობ.** (+99577) 17 97 32 **დარეჯან ჯაში - ასოცირებული პროფესორი ტელ:** (+99577) 21 06 80 **E-mail:** D.jashi-32@gmail.com **ავთანდილ მურვანიძე - ასოცირებული პროფესორი ტელ.**:(+995 222) 27-45-19, **მობილური:** (+99577) 14 10 02 **E-mail:** avtomurvanidze@mail.ru